

შპს „რეჰაუ“

ფინანსური ანგარიშგება და
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

2018 წლის 31 დეკემბერი

შპს „რეკაუ“

სარჩევი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	1
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
სრული შემოსავლის ანგარიშგება	4
კაპიტალში ცვლილების შესახებ ანგარიშგება	5
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	6
ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები	7
1. შესავალი	7
2. მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები	8
3. მნიშვნელოვანი ბუღალტრული გადაწყვეტილებები, შეფასებები და ვარაუდები	15
4. IASB-ს მიერ გამოცემული ახალი ან რედაქტირებული სტანდარტები და განმარტებები	17
5. ფული და ფულის ექვივალენტები	19
6. სასაქონლო-მატერიალური მარაგები	19
7. ძირითადი საშუალებები	20
8. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	20
9. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	20
10. საგადახდო ვალდებულება/საგადახდო აქტივები	21
11. შემოსავლები	21
12. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	21
13. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	21
14. სხვა შემოსავლები	22
15. სხვა ხარჯები	22
16. გაცვლითი კურსის გავლენა უცხოურ ვალუტაზე	22
17. ფინანსური რისკების მართვა	23
18. უცხოური ვალუტის რისკი	23
19. საკრედიტო რისკი	24
20. ლიკვიდურობის რისკი	24
21. კაპიტალური რისკის მართვა	25
22. დაკავშირებული მხარეები	25
23. სახელშეკრულებო და პირობითი ვალდებულებები	26
24. ფუნქციონირებადი საწარმო	26
25. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	26

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს რეკაუს მფლობელებსა და ხელმძღვანელობას

უპირობო მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს „რეკაუს“-ს (შემდგომში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

უპირობო მოსაზრების საფუძველი

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასსების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - “აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე” - ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებელი ვართ კომპანიისგან იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოში. გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად

ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ, გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. ასევე:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, განმარტებით შენიშვნებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

გარიგების პარტნიორი აუდიტზე, რომლის შედეგიცაა ეს დასკვნა, არის გელა მღებრიშვილი.

გელა მღებრიშვილი
2019 წლის 25 თებერვალი
თბილისი, საქართველო

შპს „რეკაუ“
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ათასი ლარი)

	შენიშვნა	დეკემბერი, 31, 2018	დეკემბერი, 31, 2017
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	7	139	140
არამატერიალური აქტივები		-	2
სულ გრძელვადიანი აქტივები		139	142
მოკლევადიანი აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	5	460	190
მარაგები	6	555	583
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	8	-	4
საგადასახადო აქტივი	10	20	40
გადახდილი ავანსები		1	8
სულ მოკლევადიანი აქტივები		1,036	825
სულ აქტივები		1,175	967
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	9	148	162
მიღებული ავანსები		3	4
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		151	166
სულ ვალდებულებები		151	166
კაპიტალი			
გაუნაწილებელი მოგება		799	576
საწესდებო კაპიტალი		225	225
სულ კაპიტალი		1,024	801
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		1,175	967

ხელმოწერი პირები:

დირექტორი

მთავარი ბუღალტერი

2019 წლის 25 თებერვალი
 თბილისი, საქართველო

შენიშვნები 7-26 გვერდებზე წარმოადგენს ამ წინასწარი ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს

შპს „რეკაუ“
 სრული შემოსავლის ანგარიშგება
 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 (ათასი ლარი)

	შენიშვნები	2018	2017
შემოსავალი	11	3,069	3,017
გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება	12	(2,400)	(2,261)
საერთო მოგება		669	756
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	13	(440)	(404)
სხვა შემოსავალი	14	16	20
სხვა ხარჯები	15	(15)	(38)
საოპერაციო მოგება		230	334
ზარალი საკუროსო სხვაობებიდან	16	(5)	(63)
ფინანსური შემოსავალი		1	7
წმინდა ფინანსური ხარჯი		(4)	(56)
არასაოპერაციო ხარჯები		(3)	-
მოგება დაბეგვრამდე		223	278
წლის წმინდა მოგება		223	278

ხელმოწერილი პირები:

დირექტორი

მთავარი ბუღალტერი

2019 წლის 25 თებერვალი
 თბილისი, საქართველო

შენიშვნები 7-26 გვერდებზე წარმოადგენს ამ წინასწარი ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს

შპს „რეჰაუ“
 კაპიტალში ცვლილების შესახებ ანგარიშგება
 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 (ათასი ლარი)

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ
31 დეკემბერი 2016	225	778	1,003
წლის მოგება	-	278	278
დარიცხული დივიდენდი	-	(480)	(480)
31 დეკემბერი 2017	225	576	801
წლის მოგება	-	223	223
31 დეკემბერი 2018	225	799	1,024

ხელმომწერი პირები:

დირექტორი

მთავარი ბუღალტერი

2019 წლის 25 თებერვალი
 თბილისი, საქართველო

შენიშვნები 7-26 გვერდებზე წარმოადგენს ამ წინასწარი ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს

შპს “რეკაუ“

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ათასი ლარი)

	2018	2017
საოპერაციო საქმიანობა		
მოგება მოგების გადასახადამდე	223	278
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან კაპიტალში ცვლილებამდე		
ცვეთა და ამორტიზაცია	44	43
(მოგება)/ზარალი სავალუტო სახსრების გადაფასებიდან	5	62
მოთხოვნების რეზერვი	(9)	-
სამუშაო კაპიტალის კორექტირება		
ცვლილება სასაქონლო მატერიალურ ფასეულობებში	37	(67)
ცვლილება საგადასახადო აქტივებსა-ვალდებულებებში გარდა მოგების გასახადისა	20	(32)
ცვლილება სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში	5	55
ცვლილება გადახდილ ავანსებში	7	24
ცვლილება სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში	(14)	(80)
ცვლილება მიღებულ ავანსებში	(1)	-
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	317	283
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	317	283
საინვესტიციო საქმიანობა		
ძირითადი საშუალებების შეძენა	(43)	(77)
შემოსავალი ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან	2	9
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	(41)	(68)
ფინანსური საქმიანობა		
გადახდილი დივიდენდი	-	(480)
წმინდა ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან	-	(480)
წმინდა ფულის და ფულის ეკვივალენტების ზრდა/შემცირება	276	(265)
წმინდა სავალუტო განსხვავება	(6)	(18)
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	190	473
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	460	190

ხელმოწერი პირები:

დირექტორი

მთავარი ბუღალტერი

2019 წლის 25 თებერვალი

თბილისი, საქართველო

შენიშვნები 7-26 გვერდებზე წარმოადგენს ამ წინასწარი ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს

შპს „რეჰაუ“
ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ათასი ლარი)

1. შესავალი

კომპანია და მისი საქმიანობა

შპს „რეჰაუ“ დაარსდა და დარეგისტრირდა გადასახადის გადამხდელად 2007 წლის 8 ივნისს. კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს კარებებისა და ფანჯრების იმპორტი.

კომპანიის რეგისტრირებული ოფისი მდებარეობს საქართველოში, თბილისში, მექანიზაციის ქუჩა N1.

კომპანიის, 100 პროცენტითი წილის მფლობელი არის სს „რეჰაუ ფერვალტუნგსცენტრალე“

კომპანიის დირექტორი არის ალექსანდრე კუდინოვი აგრეთვე კომპანიას ყავს აღმასრულებელი დირექტორი დავით კილურაძე.

წარმოდგენილი ანგარიშის ვალუტა

კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტას წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი (GEL). ოპერაციები უცხოურ ვალუტაში, თავდაპირველად ჩაიწერება ფუნქციონალურ ვალუტაში ოპერაციის დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული კურსით. ანგარიშის პერიოდისათვის, უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივები გადაფასდება ფუნქციონალურ ვალუტაში, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წლის ბოლოს არსებული კურსით. ანგარიშსწორებისას წარმოქმნილი ყველა საკურსო სხვაობა აისახება მოგება-ზარალზე.

უცხოური ვალუტის მონეტარული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული გაცვლითი კურსები არის შემდეგი:

	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
1 USD/GEL	2.6766	2.5922
1 EUR/GEL	3.0701	3.1044

საშუალო შეწონილი კურსი პერიოდებისთვის იყო შემდეგი:

	2018	2017
1 USD/GEL	2.6766	2.5086
1 EUR/GEL	3.0701	2.8322

2. მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

მომზადების საფუძვლები

აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საერთაშორისო საბუღალტრო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ გამოქვეყნებული ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (IFRS) მიხედვით.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულების მეთოდის მიხედვით. ფინანსურ ანგარიშგებაში ყველა თანხა წარმოდგენილია ლარში და დამრგვალებულია უახლოეს ათას ლარამდე, თუ სხვა რამე არ არის მითითებული, რადგანაც მენეჯმენტს მიაჩნია რომ ეს ვალუტა არის ყველაზე მოსახერხებელი წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგებებისათვის მომხმარებელთათვის და ყველაზე უკეთ ასახავს მიმდინარე პროცესებისა და გატარებების ეკონომიკურ ეფექტს კომპანიაზე.

შეფასების საფუძვლები

ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ისტორიული ღირებულების პრინციპზე დაყრდნობით

მოგების გადასახადი

საგადასახადო ხარჯები წარმოადგენს მთლიან თანხას, რომელიც შედის მოგება-ზარალში მიმდინარე საგადასახადო და გადავადებული საგადასახადო პერიოდისათვის.

მიმდინარე გადასახადი, არის საშემოსავლო გადასახადის თანხა, რომელიც გადასახდელია ან უკან დაბრუნებადია დასაბეგრ მოგებასა ან ზარალთან დაკავშირებით მიმდინარე ან წინა პერიოდებისათვის.

გადავადებული გადასახადის აქტივი ან პასივი აღიარებულია გადასახადისათვის, რომელიც ამოღებადია ან გადასახდელია სამომავლო პერიოდებში, როგორც წარსული გარიგებების ან ღონისძიებების შედეგი. გადავადებული გადასახადი წარმოიშობა სხვაობისგან (ცნობილია, როგორც დროებითი სხვაობა) ფინანსური მდგომარეობის შესახებ განაცხადში მოცემული აქტივების და პასივების საბალანსო მაჩვენებლებსა და მათ შესაბამის საგადასახადო ბაზებს შორის. აქტივების საგადასახადო ბაზა განისაზღვრება აქტივების გათავისუფლების თანმიმდევრობით.

გადავადებული საგადასახადო პასივები აღიარებულია ყველა დროებითი სხვაობისათვის, რასაც მოსალოდნელია, რომ გაზრდის მომავალში დასაბეგრ მოგებას, გარდა მათი, რაც დაკავშირებულია ფირმის პრესტიჟთან („გუდვილი“). გადავადებული საგადასახადო აქტივები აღიარებულია ყველა დროებითი სხვაობისათვის, რომლებიც მოსალოდნელია, რომ შეამცირებს მომავალში დასაბეგრ მოგებას და ნებისმიერ გამოუყენებელ საგადასახადო ზარალს.

გადავადებული საგადასახადო აქტივები ფასდება უმაღლესი თანხით, რომელიც მეტად მოსალოდნელია, რომ არ იქნება ამოღებული, მიმდინარე ან სამომავლო გეგმიური დასაბეგრი მოგების საფუძველზე. გადავადებული საგადასახადო აქტივების წმინდა საანგარიშო ღირებულება, განიხილება ყოველ სააღრიცხვო თარიღზე და რეგულირდება, რათა ასახოს მომავალი დასაბეგრი მოგების ახლანდელი შეფასება. ნებისმიერი რეგულირება აღიარებულია მოგებაში ან ზარალში, თუ სხვა მთლიანი შემოსავალის პუნქტისათვის არ არის დამახასიათებელი.

გადავადებული გადასახადი გამოიანგარიშება საგადასახადო ტარიფით, რომელიც მოსალოდნელია, რომ გავრცელდება დასაბეგრ მოგებაზე (საგადასახადო ზარალი) იმ პერიოდისათვის, როცა მენეჯმენტი ვარაუდობს, რომ გადავადებული საგადასახადო აქტივები განთავისუფლდება ან გადავადებული საგადასახადო პასივები დაიფარება, იმ საგადასახადო ტარიფების საფუძველზე, რომელიც ამოქმედდა ან არსებითად ამოქმედდა საანგარიშო პერიოდის დასასრულისათვის.

2016 წლის 13 მაისს, საქართველოს პარლამენტმა დააკანონა მოგების გადასახადის ახალი („ესტონური“) მოდელი, რაც ძირითადად გულისხმობს მოგების გადასახადით დაბეგვრას მოგების დივიდენდად განაწილების შემთხვევაში (ნაცვლად მოგების დაბეგვრისა გამომუშავების მომენტში). შედეგად, 2017

შპს “რეკაუ“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ათასი ლარი)

წლის 1 იანვრიდან კომპანიის დასაბეგრი მოგება არის გადახდილი დივიდენდების ტოლი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და შესაბამისი გადასახადი აღიარდება პირდაპირ კაპიტალში გადახდილ დივიდენდებთან ერთად. ამრიგად, 2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებულ წელს არ არსებობს მიმდინარე და გადავადებული მოგების გადასახადი.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები აღირიცხება მათი თვითღირებულებიდან დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით. ძირითადი საშუალებების თვითღირებულება შედგება მშენებლობის ხარჯის ან შესყიდვის ფასისგან, მასთან დაკავშირებული იმპორტის გადასახადების, გამოუქვითავი გადასახადების და სხვა პირდაპირი ხარჯების ჩათვლით. ნებისმიერი სავაჭრო ფასდაკლება გამოაკლდება შესყიდვის ან მშენებლობის ფასს.

მცირე შეკეთება-განახლება აღიარდება მოგება/ზარალის ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე. ხარჯები დაკავშირებული ძირითადი საშუალებების მნიშვნელოვანი ნაწილის ან კომპონენტების ჩანაცვლებასთან კაპიტალიზირდება, ხოლო ჩანაცვლებული ნაწილი ჩამოიწერება.

ყველა აქტივი წარმოდგენილია საწყის ღირებულებას, გამოკლებული დაგროვილი ცვეთა და გაუფასურების ზარალი, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს მენეჯმენტი აფასებს, არსებობს თუ არა ძირითადი საშუალებების გაუფასურების რაიმე ნიშნები. თუ გაუფასურებას ჰქონდა ადგილი, ხდება ძირითადი საშუალებების ჩამოფასება უმაღლესი თანხით, შემდეგ ორს შორის: გამოყენების ღირებულება და სამართლიან ღირებულებას გამოკლებული გაყიდვის ხარჯები. საბალანსო ღირებულების შემცირება აისახება მოგება-ზარალზე. წინა პერიოდში აღიარებული აქტივის გაუფასურების დანაკარგი გაიქვითება, თუკი მოხდება აქტივის გამოყენების ღირებულების ან სამართლიან ღირებულებას გამოკლებული გაყიდვის დანახარჯების ღირებულების გამოსათვლელად საჭირო დაშვებების ცვლილება.

ძირითადი საშუალებების ჩამოწერა/რეალიზაციიდან მისაღები თანხების საბალანსო ღირებულებასთან შედარებით განსაზღვრული სარგებელი და ზარალი აღიარდება მოგება-ზარალში.

ცვეთა

ცვეთა ძირითად საშუალებებზე გამოითვლება წრფივი მეთოდით, რათა მოხდეს შესყიდვის ღირებულების გადანაწილება მათი სასარგებლო ვადის განმავლობაში.

ძირითადი საშუალებების ჯგუფი

სასარგებლო მომსახურების ვადა

ავეჯი და ინვენტარი	5 წელი
ოფისის აღჭურვილობა	5 წელი
სატრანსპორტო საშუალებები	5 წელი

ნარჩენი ღირებულება არის სავარაუდო ღირებულება, რასაც კომპანია მიიღებდა ამჟამად ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან, გაყიდვის ხარჯების გამოკლებით. ძირითადი საშუალებების მოსახურების პერიოდი გადაიხედება ყოველწლიურად და იცვლება საჭიროების შემთხვევაში.

ნარჩენი ღირებულება არის სავარაუდო ღირებულება, რასაც კომპანია მიიღებდა ამჟამად ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან, გაყიდვის ხარჯების გამოკლებით. ძირითადი საშუალებების მოსახურების პერიოდი გადაიხედება ყოველწლიურად და იცვლება საჭიროების შემთხვევაში.

კლიენტების ხელშეკრულებებიდან მიღებული შემოსავალი

შპს “რეკაუ“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ათასი ლარი)

კომპანიის საქმიანობას წარმოადგენს კარებებით და ფანჯრებით ვაჭრობა. ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან აღიარდება მაშინ როდესაც კონტროლი საქონელზე ან მომსახურებაზე გადაეცემა მომხმარებელს იმ სახელშეკრულებო ღირებულებით, რომლის მიღებასაც კომპანია მოელის საქონლისა ან მომსახურების გადაცემის სანაცვლოდ.

მარაგებით ვაჭრობა

შემოსავალი მარაგებით ვაჭრობიდან, აღიარდება მაშინ როდესაც კონტროლი გადაეცემა მომხმარებელს, კერძოდ მატერიალური მარაგების მიწოდების დროს. ჩვეული მიწოდების პირობები ითვალისწინებს იმ დღესვე მიწოდებას.

კომპანია განსაზღვრავს არის თუ არა სხვა სახელშეკრულებო ვალდებულებები, რომელზეც საჭიროა განცალკევებით ფასის განსაზღვრა (მაგ: გარანტიები). მატერიალური მარაგების გასაყიდი ფასის დადგენის დროს კომპანია ითვალისწინებს ცვალებადი ფასების ეფექტს, მნიშვნელოვანი ფინანსური კომპონენტების არსებობას, არაფულად გადახდებს ასეთის არსებობის შემთხვევაში.

- დაბრუნების უფლება - გარკვეული ხელშეკრულებები მომხმარებელს აძლევს უფლებას, დააბრუნოს შეძენილი საქონელი წინასწარ განსაზღვრული დროის მონაკვეთში. კომპანია იყენებს მოსალოდნელი ღირებულების მეთოდს რათა განსაზღვროს დაბრუნებული მარაგების ღირებულება, რადგანაც აღნიშნული მეთოდი ყველაზე უკეთ განსაზღვრავს იმ ცვლილებას, რასაც კომპანია მიიღებს. IFRS 15-ის მოთხოვნები ასევე ავალდებულებს მსგავს შეფასებას, რომ მოხდეს ობიექტური ცვლადი თანხების გაანგარიშება გარიგების ფასში. დასაბრუნებელ საქონელს კომპანია შემოსავლის მაგივრად აღიარებს, როგორც უკუგადახდის ვალდებულებას (არავითარი უკუგადახდის ვალდებულება არ არის წარმოშობილი 2018 და 2017 წლის 31 დეკემბრისათვის). კომპანიას ასევე აქვს აქტივების უკან დაბრუნების მოთხოვნის უფლება კლიენტებისაგან.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები თავდაპირველად აღიარდება სამართლიანი ღირებულებით და შემდგომ ხდება მათი შეფასება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, გამოკლებული გაუფასურების რეზერვი. გაუფასურების რეზერვი იქმნება მაშინ, როდესაც არსებობს საფუძველი, რომ კომპანია ვერ მიიღებს თავდაპირველი შეთანხმებით განსაზღვრულ შესაბამის თანხას.

გაუფასურების რეზერვის თანხა არის სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და ეფექტური საპროცენტო განაკვეთით დისკონტირებული მისი მომავალი ფულადი ნაკადების ახლანდელ ღირებულებას შორის. აქტივის მიმდინარე ღირებულება მცირდება რეზერვის ანგარიშის მეშვეობით, და ზარალის თანხა აღიარდება მოგება-ზარალის უწყისში. როდესაც სავაჭრო მოთხოვნების მიღება შეუძლებელია, ის ჩამოიწერება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების რეზერვის ანგარიშზე. შემდგომი აღდგენები დარეზერვებული მოთხოვნებიდან კრედიტდება მიმდინარე მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ვალდებულებას იმ საქონლისა თუ მომსახურებისთვის, რომელიც კომპანიამ შეიძინა მისი მომწოდებლებისგან ჩვეულებრივი ბიზნეს ოპერაციით. სავაჭრო მოთხოვნები კლასიფიცირდება, როგორც მიმდინარე ვალდებულებები, თუ გადახდის ვალდებულება არის ერთ წლამდე პერიოდში, თუ არა, როგორც გრძელვადიანი ვალდებულებები. ამჟამად კომპანიის

შპს “რეკაუ“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ათასი ლარი)

მთლიანი სავაჭრო ვალდებულებების დაფარვა მოსალოდნელია საბალანსო ანგარიშგების თარიღიდან ერთ წლამდე პერიოდში და კლასიფიცირებულია, როგორც მიმდინარე ვალდებულებები.

სავაჭრო ვალდებულებები, თავდაპირველი აღიარებისას, ფასდება სამართლიანი ღირებულებით და შემდგომ პერიოდში ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები არის ფული, მიმდინარე ანგარიშებზე ეროვნულ ვალუტაში და ფული მიმდინარე ანგარიშებზე უცხოურ ვალუტაში, რომლებსაც აქვთ ფასის შეცვლის მცირედი რისკი. კომპანიის ანგარიშზე განთავსებულია არამატერიალური ბალანსი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (31 დეკემბერი 2017).

დივიდენდები

დივიდენდები აღირიცხება, როგორც ვალდებულება და აკლდება კაპიტალს იმ პერიოდში, როდესაც მოხდა მათი გამოცხადება და დამტკიცება. ნებისმიერი დივიდენდი, გამოცხადებული საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ და ფინანსური ანგარიშების დამტკიცებამდე, გამჟღავნდება შემდგომი პერიოდის მოვლენების შენიშვნაში.

სასაქონლო-მატერიალური მარაგები

მარაგები აღირიცხება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება განისაზღვრება საშუალო შეწონილის საფუძველზე. დაუმთავრებელი და მზა პროდუქციის თვითღირებულება მოიცავს ნედლეულს, პირდაპირ ხელფასებს და ნორმალური ფუნქციონირების შესაბამის საწარმოო ზედნაღებ დანახარჯებს.

მომავალში მარაგების ჩამოწერა ხდება მათი მომავალში მოსალოდნელი გამოყენების და წმინდა სარეალიზაციო ღირებულების ანალიზის შედეგად.

ხარჯების აღიარება

ხარჯები აღიარდება საერთო შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ შესაძლებელია მომავალში აქტივისგან მისაღები სარგებლის შემცირების ან ვალდებულების ზრდის საიმედოდ განსაზღვრა.

მომსახურების გაწევის განმავლობაში წარმოშობილი დანახარჯები გამოითვლება აღიარებული შემოსავლის პროპორციულად.

ხარჯი საერთო შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყოვნებლივ, თუ ის მომავალში არ წარმოშობს ეკონომიკურ სარგებელს, ან იმ შემთხვევაში, თუ არ აკმაყოფილებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აქტივად აღიარების პირობებს.

პერსონალის ხარჯი და მასთან დაკავშირებული შენატანები

ხელფასები, შენატანები საქართველოს საპენსიო და სადაზღვეო სისტემაში, წლიური შვებულების და ავადმყოფობის ანაზღაურებები, ბონუსები და არა-ფულადი სარგებლები აღირიცხება იმ წელს, როდესაც მოხდება შესაბამისი სერვისის მიღება თანამშრომლების მიერ.

ფინანსური ინსტრუმენტები - საწყისი აღიარება და მომდევნო შეფასება

ფინანსური ინსტრუმენტი არის კონტრაქტი, რომელიც წარმოშობს ერთი პირის ფინანსურ აქტივს და მეორე პირის ფინანსურ ვალდებულებას ან წილობრივ ფინანსურ ინსტრუმენტს.

(i) ფინანსური აქტივები

საწყისი აღიარება და შეფასება

ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება, საწყისი აღიარებისას, როგორც სამართლიანი ღირებულებით შეფასებადი ფინანსური აქტივები, მოგების ან ზარალის, კრედიტორული და დებიტორული დავალიანების, დაფარვამდე ფლობადი ინვესტიციების, გასაყიდად გამიზნული ფინანსური აქტივების საშუალებით ან როგორც დერივატივები, შექმნილი, როგორც ჰეჯირების ინსტრუმენტები ეფექტურ ჰეჯში, როგორც შესაბამისია. კომპანია განსაზღვრავს თავისი ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას პირველადი აღიარებისას.

ყველა ფინანსური აქტივი თავდაპირველად აღიარებულია სამართლიანი ღირებულებით დამატებული, მოგების ან ზარალის საშუალებით არა სამართლიანი ღირებულებით შეფასებადი აქტივების შემთხვევაში, ტრანზაქციის ხარჯები, რაც მიეკუთვნება ფინანსური აქტივის შეძენას.

ფინანსური აქტივების შეძენა ან გაყიდვა, რომელიც მოითხოვს აქტივების მიწოდებას დროის იმ პერიოდში, რაც დადგენილია დებულებით ან კონვენციით ბაზარზე (გარიგების სტანდარტული პროცედურებით ვაჭრობა) აღიარებულია ვაჭრობის დღეს, ანუ იმ თარიღში, როდესაც კომპანია ახორციელებს აქტივების შეძენას ან გაყიდვას.

მომდევნო აღრიცხვა

ფინანსური აქტივების მომდევნო აღრიცხვა დამოკიდებულია მათ კლასიფიკაციაზე, როგორც აღწერილია ქვემოთ:

სამართლიანი ღირებულებით შეფასებადი ფინანსური აქტივები მოგების ან ზარალის საშუალებით

სამართლიანი ღირებულებით შეფასებადი ფინანსური აქტივები მოგების ან ზარალის საშუალებით მოიცავს ფინანსურ აქტივებს, რასაც ფლობს ვაჭრობისათვის და ფინანსურ აქტივებს, რაც განსაზღვრულია სამართლიანი ღირებულებით საწყისი აღიარების საფუძველზე მოგების ან ზარალის საშუალებით. ფინანსური აქტივები კლასიფიცირებულია როგორც აქტივები, რომელსაც კომპანია ფლობს ვაჭრობისათვის თუ ისინი შეძენილია ახლო ვადაში გაყიდვის ან ხელახალი შეძენისათვის. სამართლიანი ღირებულებით, შეფასებადი ფინანსური აქტივები მოგება-ზარალის საშუალებით შეტანილია ფინანსური მდგომარეობის შესახებ განაცხადში, სამართლიანი ღირებულებით წმინდა ცვლილებებით სამართლიან ღირებულებაში, რაც წარმოდგენილია, როგორც ფინანსური შემოსავალი (დადებითი წმინდა ცვლილებები სამართლიან ღირებულებაში) ან ფინანსური ხარჯები (უარყოფითი წმინდა ცვლილებები სამართლიან ღირებულებაში) მოგების ან ზარალის შესახებ განაცხადში. კომპანიას არ განუსაზღვრავს რაიმე სამართლიანი ღირებულებით შეფასებადი ფინანსური აქტივები, საწყისი აღიარებისას მოგების ან ზარალის საშუალებით.

სესხები და დებიტორული მოთხოვნები

ეს კატეგორია ყველაზე მეტად შეესაბამება კომპანიას. კრედიტები და დებიტორული დავალიანებები არის არა-დერივატიული ფინანსური აქტივები ფიქსირებული ან განსაზღვრებადი გადასახდელებით, რომლებიც არაკოტირებულია აქტიურ ბაზარზე. საწყისი შეფასებისას, აღნიშნული ფინანსური აქტივები შესაბამისად შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის (EIR) მეთოდით, გაუფასურების გამოკლებით. ამორტიზებული ღირებულება გაანგარიშდება ნებისმიერი ფასდათმობის ან შეძენაზე პრემიის გათვალისწინებით და გადასახადების

შპს “რეკაუ“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ათასი ლარი)

და ხარჯების გათვალისწინებით, რაც EIR -ს განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს. EIR ამორტიზაცია შედის ფინანსურ შემოსავალში, რაც მოცემულია მოგება-ზარალის შესახებ განაცხადში. ზარალი, რაც წარმოშობილია გაუფასურებისგან, აღიარებულია მოგება-ზარალის ანგარიშში სასესხო ფინანსურ ხარჯებში და გაყიდვების ხარჯებში ან დებიტორული დავალიანებების საოპერაციო ხარჯებში.

აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივის (ან, სადაც მისაღებია, ფინანსური აქტივის ნაწილის ან ანალოგიური ფინანსური აქტივის ჯგუფის ნაწილის) ჩამოწერა ხდება, თუ:

- ამოიწურა აქტივიდან ფულადი სახსრების მიღების ვადა;
- კომპანიამ (ა) გადასცა აქტივთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი, (ბ) არც გადასცა და არც დაიტოვა აქტივთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი, მაგრამ გადასცა სხვა აქტივზე კონტროლი.

იმ შემთხვევაში, თუ კომპანიამ გადასცა აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება და არ გადაუცია ძირითადი რისკები და სარგებელი, ან კონტროლი აქტივებზე, ჯგუფის მიერ აქტივის აღიარება ხდება უწყვეტი გამოყენების პირობით. შემდგომი გამოყენება, რომელსაც აქვს გადაცემულ აქტივზე ერთგვარი გარანტიის ფორმა, აისახება აქტივის თავდაპირველ საბალანსო ღირებულებასა და ჯგუფის მიერ გადასახდელ მაქსიმალურ თანხას შორის უმცირესით.

(ii) ფინანსური აქტივების გაუფასურება

კომპანია აფასებს, ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ფინანსური აქტივი ან ფინანსური აქტივების ჯგუფი გაუფასურდა. გაუფასურება არსებობს, თუ ერთ ან მეტ მოვლენას, რომელსაც ადგილი ჰქონდა აქტივის საწყისი აღიარების შემდეგ (მიყენებული „ზარალის დადგომის შემთხვევა“), აქვს გავლენა ფინანსური აქტივის ან ფინანსური აქტივების ჯგუფის სამომავლო დაგეგმილ ფულად ნაკადებზე, რაც სანდოდ შეიძლება შეფასდეს. გაუფასურების ნიშანი შესაძლოა მოიცავდეს იმის მითითებას, რომ დებიტორები ან დებიტორთა ჯგუფი განიცდის მნიშვნელოვან ფინანსურ სირთულეს, ადგილი აქვს ძირითადი თანხის ან სარგებლის გადახდის დარღვევას ან გადაუხდელობას, იმის ალბათობა რომ ისინი შესაძლოა გაკოტრდნენ ან განიცადონ სხვა ფინანსური რეორგანიზაცია და სადაც თვალსაჩინო მონაცემები მიუთითებენ, რომ ადგილი აქვს მნიშვნელოვან შემცირებას სამომავლო გეგმიურ ფულად ნაკადებში, როგორცაა ცვლილებები დავალიანებებში ან ეკონომიკური პირობები, რაც შეესაბამება ვალდებულებების შეუსრულებლობას.

ამორტიზებული ღირებულებით რიცხული ფინანსური აქტივები

ამორტიზირებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივებისათვის, კომპანია უპირველესად აფასებს იმას, გაუფასურება არსებობს ინდივიდუალურად ფინანსური აქტივებისათვის, რომლებიც ცალკე არის მნიშვნელოვანი, თუ ერთობლივად ფინანსური აქტივებისათვის, რომლებიც ცალკეულად არ არის მნიშვნელოვანი. თუ ჯგუფი დაადგენს, რომ არ არსებობს ობიექტური მტკიცებულება, რომ არსებობს გაუფასურება ინდივიდუალურად შეფასებული ფინანსური აქტივისათვის, იმის მიუხედავად, იქნება ის მნიშვნელოვანი თუ არა, იგი მოიცავს აქტივს ფინანსური აქტივების ჯგუფში, მსგავსი საკრედიტო რისკის მახასიათებლებით და ერთობლივად აფასებს მათ გაუფასურებასთან დაკავშირებით. აქტივები, რომლებიც ინდივიდუალურად შეფასებულია გაუფასურებაზე და რომლისთვისაც გაუფასურების ზარალი არის, ან განაგრძობს იყოს აღიარებული, არ შედის გაუფასურების ერთობლივ შეფასებაში.

შპს “რეკაუ“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ათასი ლარი)

გაუფასურების ზარალის თანხა, რომელიც ფასდება, როგორც განსხვავება აქტივების საბალანსო მაჩვენებლებსა და გეგმიური სამომავლო ნაღდი ფულის ნაკადების ახლანდელ ღირებულებას შორის (გარდა სამომავლო გეგმიური საკრედიტო ზარალებისა, რომლებიც ჯერ არ დამდგარა). სამომავლო გეგმიური ნაღდი ფულის ნაკადების ახლანდელი ღირებულება დისკონტირებულია ფინანსური აქტივების თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით.

აქტივის საბალანსო მაჩვენებელი შემცირებულია შეფასებული რეზერვის ანგარიშის გამოყენებით და ზარალის ოდენობა აღიარებულია მოგება-ზარალის ანგარიშში. საპროცენტო შემოსავალი განაგრძობს დარიცხვას შემცირებულ საბალანსო მაჩვენებელზე საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით, რომელიც გამოყენებულია სამომავლო ფულადი ნაკადების დისკონტირებისათვის გაუფასურების ზარალის გაანგარიშების მიზნით. შემოსავალი პროცენტებიდან აღირიცხება, როგორც ფინანსური შემოსავლის ნაწილი მოგება-ზარალის ანგარიშში.

სესხები, თანხლებ დანამატებთან ერთად, ჩამოიწერება, როდესაც არ არსებობს სამომავლო ამოღების რეალური პერსპექტივა და ყველა უზრუნველყოფა რეალიზებული იქნა ან გადაეცა კომპანიას. თუ, მომდევნო წელს, შეფასებული გაუფასურების ზარალის თანხა იზრდება ან მცირდება გაუფასურების აღიარების შემდგომ მომხდარი მოვლენის გამო, ადრე აღიარებული გაუფასურების ზარალი იზრდება ან მცირდება შეფასებადი რეზერვის ანგარიშის რეგულირებით. თუ ჩამოწერა მოგვიანებით ამოღებულია, ამონაღები კრედიტდება ფინანსურ ხარჯებად მოგებაში ან ზარალში.

(iii) ფინანსური ვალდებულებები

საწყისი აღიარება და შეფასება

ფინანსური ვალდებულებები, კლასიფიცირებულია, საწყისი აღიარების ეტაპზე, როგორც სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ფინანსური ვალდებულებები მოგება-ზარალის, სესხების და ნასესხებების, გადასახდელების საშუალებით, ან როგორც დერივატივები, რომლებიც განსაზღვრულია, როგორც ჰეჯირებული ინსტრუმენტები ეფექტურ ჰეჯში, როგორც შესაბამისია.

ყველა ფინანსური ვალდებულება საწყის ეტაპზე აღიარებულია სამართლიანი ღირებულებით და, სესხის და ნასესხებების და გადასახდელების შემთხვევაში, პირდაპირ მიკუთვნებული გარიგების ხარჯების გარეშე.

კომპანიის ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სხვა გადასახდელებს, სესხებს და ნასესხებებს, ბანკის სესხების ჩათვლით.

შემდგომი აღიარება

ფინანსური ვალდებულებების აღიარება დამოკიდებულია მათ კლასიფიკაციაზე, შემდეგნაირად:

სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ფინანსური ვალდებულებები მოგების ან ზარალის საშუალებით

სამართლიანი ღირებულებით, შეფასებული ფინანსური ვალდებულებები მოგების ან ზარალის საშუალებით მოიცავს ფინანსურ ვალდებულებებს, რომლებიც განკუთვნილია ვაჭრობისათვის და ფინანსურ ვალდებულებებს, რომლებიც საწყისი აღიარების დროს მიეკუთვნება სამართლიანი ღირებულებით გადაფასებად კატეგორიას მოგების ან ზარალის საშუალებით.

ფინანსური ვალდებულებები კლასიფიცირებულია, როგორც განსაზღვრული ვაჭრობისათვის, თუ ისინი შექმნილია ახლო დროში გაყიდვის მიზნით.

ნასესხები თანხები

შპს “რეკაუ“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ათასი ლარი)

ეს არის კომპანიისათვის ყველაზე მეტად შესაბამისი კატეგორია. საწყისი აღიარების შემდეგ, სარგებლიანი სესხები და კრედიტები, შესაბამისად შეფასებულია საამორტიზაციო ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. მოგებები და ზარალები აღიარებულია მოგება-ზარალის ანგარიშში, როდესაც პასივები ჩამოწერილია აგრეთვე ეფექტური საპროცენტო განაკვეთის (EIR) მეთოდის საამორტიზაციო პროცესების საშუალებით.

ამორტიზებული ღირებულება გამოიანგარიშება ნებისმიერი ფასდათმობის ან შემენაზე პრემიის და მოსაკრებლების ან ხარჯების გათვალისწინებით, რომლებიც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის შემადგენელი ნაწილია. ეფექტური საპროცენტო განაკვეთით ამორტიზაცია, შედის მოგება-ზარალის ანგარიშის დაფინანსების ხარჯებში.

ეს კატეგორია ზოგადად ვრცელდება სარგებლიან სესხებს და კრედიტებზე.

აღიარების შეწყვეტა

ფინანსური ვალდებულებების აღიარება წყდება მაშინ, როდესაც ისინი იფარება, ბათილდება ან ამოიწურება. როდესაც არსებულ ფინანსურ ვალდებულებას ცვლის მეორე ფინანსური ვალდებულება, იმავე კრედიტორის მიმართ მნიშვნელოვნად შეცვლილი პირობებით, ან თუ მიმდინარე ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ამგვარი ცვლილება თუ მოდიფიკაცია აღირიცხება, როგორც თავდაპირველი ვალდებულების აღიარების გაუქმება და ახალი ვალდებულების აღიარება, ხოლო შესაბამისი საბალანსო ღირებულის სხვაობა აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ურთიერთჩათვლა

ფინანსური აქტივები და პასივები ექვემდებარება ურთიერთჩათვლას, ხოლო წმინდა ოდენობა კონსოლიდირებულ ბალანსში ასახვას, მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ადგილი აქვს აღიარებული თანხების ურთიერთჩათვლის სამართლებრივად მოქმედ უფლებას, და სახეზეა განზრახვა, წარმოებულ იქნას ურთიერთჩათვლა ნეტო-საფუძველზე ან ერთდროულად განხორციელებულ იქნას აქტივის რეალიზაცია და ვალდებულების მესრულება.

არაფინანსური აქტივების გაუფასურება

თითოეულ საანგარიშო პერიოდში, ძირითადი საშუალებებისთვის და არამატერიალური აქტივებისთვის ხდება შეფასება, რათა დადგინდეს არსებობს თუ არა რაიმე მინიშნება, რომ ამ აქტივებმა განიცადა გაუფასურების დანაკარგი. თუ არსებობს მინიშნება შესაძლო გაუფასურებაზე, ნებისმიერი ასეთი აქტივის (ან მასთან დაკავშირებული აქტივის ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება შეფასდება და შეედარება მის საბალანსო მაჩვენებელთან, თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება არის უფრო მცირე, საბალანსო მაჩვენებელი შემცირდება მის შეფასებულ ანაზღაურებად ღირებულებამდე, და გაუფასურების დანაკარგი აღიარებული იქნება დაუყოვნებლივ მოგება-ზარალში.

